

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რაჯოვის სახლში.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;  
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редак-  
цію „Дროება“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—  
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—  
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4  
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორჯაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; გან-  
ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებ.  
ზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია განსწორებს  
და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოცხადებულ წერილებს  
დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს  
ავტორს.

„Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ цент. конторѣ  
объявл. А. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპიკი.

„დროების“ რედაქცია გადავიდა  
ახალ სადგურში,  
დ. სარაჯოვის სახლში, სასახლის  
ქუჩაზედ.

## შინაური ძროხისა

== თითქმის არც ერთი კუთხე არ  
არის სკენს ქვეყანაში, რომ თავის სი-  
კურხალა წყლები არა ჰქონდეს. ამ  
წყლებით სარგებლობს მხოლოდ ახლო-  
მანლო მცხოვრებნი ხალხი და შორიდან  
მოსულთა კი მოკლებული აქვთ ამის სა-  
შუალება, რადგან ალაგობენ არავითარი  
მოწყობილობა არ არის მომსახურებლათ-  
თვის; აქ არც ბანაი, არც აუზები, არც  
დუქან ბაზარი, რომ გაცმა ან თავი შეა-  
ფაროს, ან საჭმელ-სასმელი შორის მან-  
ძილიდან მოსატანი არ გაუხდეს. აიღეთ,  
მაგ., კასეთის გამომჩენილი ახტადა, რომ-  
ელიც წარმოადგენს ფოსტის გზის მა-  
რას გადაშლილს უდაბნო ტალახანის  
მიხედვით, ძეძუებით გარ-შემორტყმულს;  
აიღეთ უწერას წყლები რაჭაში, სვედუ-  
რეთის წყლები და სხვ. ეს უკანასკნელნი  
უფრო თაღ-სახინო მაგალითს წარმო-  
ადგენენ ჩვენის დაუდევრობისას. მართ-  
ლაც, სვედურეთი მდებარებს გორადამ  
16—17 კერსზე, სამს კერსზე რენის  
გზის სტანცია ქარელიდამ; წყალი,  
როგორც ამბობენ, ხანებულად არ-

ჩენს რეკონსტრუქციას და ზოგიერთ  
სხვა ავადყოფილებასაც, მაგრამ რომ-  
გორც სხვაგან ამ გვარსავე ადგილებ-  
ში, ისე აქ წყლებს სრული უმეტრო-  
ნობა ეტეობა თურმე. მიწიდან გამომა-  
ვალი წყარო ალაგ-ალაგ გუბდება და ეს  
გუბებები შეადგენენ ბუნებრივს აუზებს,  
რომლებშიც ხან ადამიანები სსკდნ, ხან  
კამბეჩები და იჭაურობას პატივით აკსე-  
ბენ. აჭაურები კიდევ, როგორც არის,  
იტანენ ამ უსამიჯნო მეზობლებს და  
კამბეჩებთან ერთად ბანაობენ გუბებში,  
მაგრამ, თუ პატარა სისუფთავის მოყვა-  
რული ადამიანი მოაწადინებს ამ წყლებით  
სარგებლობას, თან უნდა მოატანოს  
უოკვლისფერია, კარავიდან დაწყებული  
უბრალო ქოთან-ლიტრამდე, ან სადმე  
ახლო-მანლო სოფელში დასდგეს და  
იქ აზიდვის წყალი ბოჩებშით. ქა-  
რელელ ებრაელებს ამ გარემოებით უსარ-  
გებლათ თურმე, დაქვით წყალი კარ-  
და-კარ ცხენებით, ან ურმებით და ბოჩ-  
კას ათ-შაურად ჰყიდიან.

სირცხვიალია, ღმერთმანი, ჩვენთვის,  
რომ ცხვირ-წინ მდებარე სასარგებლო  
წყლებს ასე უგულოდ და დაუდევრად  
გვუყრებით.

== გუმან, საღამოს 5-ს საათზედ,  
უცნაურად წაქვდა ცეცხლი საზიარნის  
კარავებში, საზიარნის ქუჩაზედ. ცეცხ-  
ლი ერთ წლიგეს მოედო, რომელსაც

ცეცხლის-მჭობელი კამანდა მიეშველა.  
მასუგან რა მოხდა, — მკითხველებს სჯალ  
შეგატყობინებთ.

== გორის მარცხში, სოფელ მოხის-  
ში, ამ დღეებში ერთი შემადგენელი  
შემთხვევა მოხდა. იქ ღამე რამდენ-  
სამე ცხენოსანს გაუვლიათ ცოტა შე-  
ჭაიფიანებულებს, შესწრან ერთს ცალკე  
მოსასლე ქარივ დედა-კაცს და ამ გუ-  
ბატონების უფროსს ამ დედა-კაცს გაუ-  
პატიურება მოუწადინა. დედა-კაცის კ-  
ვალზედ ხალხს გაუღვიძნა, ცხენიანები  
გაქცეულან და მხოლოდ ერთი მათგანი  
შერჩენიათ ხელში დედა-კაცის მეზობ-  
ლებს. ეს გაუბატონი ბძანებულა ადგი-  
ლობრივი სარეო დარჯის წყერი (ча-  
паръ земскои стражи), რომელიც  
ნიუთიერ საზუთად გამოადგებოდა მისის  
უფროსის წინააღმდეგ თუ...

== ს. გლდანთან, რომელიც ავჭა-  
ლის ახლო მდებარეობს, შემოკვნიან,  
რომ ამ უამად იქ დიდი უწყობაა:  
გაცის-ველა, ქურდობა, გენახეში გა-  
ზების გაკაფვა ქურდულად და სხვა-და-  
სხვა. სხვათა შორის ამ სამის დღის  
წინად ერთი შესაძრწუნებელი სცოდა-  
ბა მოხდა. ს. გლდანში: „კურსს აჭ-  
ურს მიკიტანს, — გვწერს კორესპონდენ-  
ტი, — გიორგი გელაშვილს და დათაგო  
კონსულაშვილს მოუვიდათ ჩხუბი. მ.კა-

და ნაცვალა გიორგი ნარბინოვი, რომ-  
გორც სამსახურის კაცი, და აშველებდა;  
მაგრამ ერთი გაანხლებული მოხსუბარ-  
თაგანი, დათაგო კონსულაშვილი, მოუბ-  
რუნდა ნაცვალს და ხანჯალი შესცა  
მუცელში. მეორე დღეს დალია სული  
საგოდავმა. ამბობენ, რომ იმავე საათს  
მკვლელმა დაჭრა ფეხი, ჩამოვიდა ქა-  
ლაქში, მარბოკეას ცხენი მოიტაცა  
თავლიდგანაო და იმ დამსვეამ ცხენით  
აჭრალა გლდანში, რათა გაეგო, ცოც-  
ხალია თუ არა დაჭრილი. რომც დარწ-  
მუნებულა თურმე, რომ ჩემგან დაჭრალი  
კიდევ მომკვდარა, მაშინათვე გავრდ-  
ნილა; ამბობენ, კითომ დაგვეგნინა, რომ  
იმასთან სხვასაც ბუკის მიჯაუფლებო.  
საწყალ ნაცვალს ულუქმა შუროდ დარ-  
ჩა წერილშიელი, რომელიც ცოცხით  
აკსებენ აჭაურობასაო, — ამბობს ბოლოს  
კორესპონდენტი.

== სოხუმიდამ გვწერენ: „აჭაურს ჭი-  
ლოქსურის დასს მიეცა საშუალება და  
კიდევ გაგრძელდება მეშობა, მაგრამ  
რად დრომდე, ეს არ ვიცით — ეს დამო-  
კიდებულია კომიტეტზედ. აჭაურ დასში  
ცვლილება მოხდა: ექსპერტი ვ. ინანოვი  
ორის გამომჩვეველი დაიბარეს ქალაქში,  
სადაც უკანასკნელთ თხრას დაიწყებენ.

== გავ. „ნოკოე ობოზრენიეს“,  
სწერენ მთიდან: „პატარა ხანს მოსკვენე-

## „დროების“ ძეგლი, ოქტ. 18-ს

### ნიხონი წმინდა

ნიხონ-წმინდა არის ერთი პატარა  
სოფელი იერის-ხეობაზე (თბილისის  
მარჯობი). მისი სახელი, დაწმინდებუ-  
ლი ვარ, ბევრს მოთხვევს გაგონილი  
არც კი ეჩვენება:

ნიხონ-წმინდის სახელით წინად იწო-  
დებოდა მთელი ეპარქია ეგრედ-წოდებ-  
ული «ნიხონ-წმინდისა», რომელიც  
არსებობდა მეხუთე საუკუნიდან მე-  
ცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე.  
1817 წ. გაუქმებულ-იქმნა უწმ. სი-  
ნოდისაგან, პირველი საქართველოს  
ეპარქიის მიტროპოლიტი მარლან-  
მის წინადადებით\*). ნინო-წმინდელ  
მიტროპოლიტებს სოფ. ნინო-წმინდა-  
ში ჰქონათ მუდმივი კათედრა და  
აქედგან განაგებდნენ ეპარქიას, ვიდ-  
რე მისიყამდე, როგორც მოგვიხ-  
რობს ბატონიშვილი მახუშტი თავის  
გეოგრაფიაში\*\*). მან იყო პირველი  
მღვდელ-მთავარი ნინო-წმინდისა, და  
ან შემდგომი ვინ იყვნენ, ჩვენ არ ვი-  
ცით; მხოლოდ ზოგიერთი მიტროპო-

ლიტების სახელებს ჩამოვთვლით აქ:  
არსენი\*), იოსებ (მაჩნაძე), ნი-  
კოლოზ (ანდრონიკაშვილი), მი-  
ქელ, საბა და მიხეილი. მიხეი-  
ლი იყო ერთი განვითარებულ  
მღვდელ-მთავართაგანი მეტროპოლიტ  
საუკუნის დასაწყისში. სწავლა მან  
ჯერ საქართველოში მიიღო, მეტე-  
რუსეთში, სადაც იმ დროს იმო-  
ფებოდა საქართველოდან განდევნი-  
ლი კათალიკოზი ანტონ პირველი.  
1792 წ. მ. მიხეილი მიტროპოლის კა-  
თედრიდან გადმოყვანილი-იქმნა ნინო-  
წმინდელის კათედრაზედ, რომელსაც  
განაგებდა სიკვილიამდე (1811წ.).  
როდესაც მიტროპოლიტი მიხეილი  
ნიხონ-წმინდამი მოსულა, მრავალი  
თავად-აზნაურობა მიჰგებებია წინ და  
დიდის პატივით და დიდებით მიუცი-  
ლებიანთ სამიტროპოლიტო სასახლემ-  
დის...

აქ უნდა შევნიშნოთ რომ, ნინო-  
წმინდელი მიტროპოლიტები სანატ-  
რელ მდგომარეობაში ყოფილან, რა-  
დგანაც ყმები ბევრი ჰქონიანთ, ზეზე  
ბი და მამულები დიდრონი ჰქონიანთ  
და კათალიკოზო კრებებში საპატიო  
ალაგი სჭერიათ. საეკლესიო გლეხები

მიტროპოლიტების ხელში აქ, რომ  
გორც საზოგადოდ სხვაგან, ისე არა  
ყოფილან შევიწროებულნი და ტან-  
ჯულნი, როგორც სათავადო გლეხე-  
ბი საქართველოს ყველა კუთხეებში.  
შესანიშნავი ის არის, რომ თითონ  
ჩვენ მოგწერებიათ იმ დროის ღმად  
მოხუცებულებს, რომელნიც დიდის  
უმაყოფილებით უყურებდნენ ებლან-  
დელ დროს, მაგრამ სამაგიეროდ დი-  
დის ნეტარებით იხსენიებდნენ წარსულს,  
დიდის აღტაცებით აქებდნენ მაშინდელ  
სწრაფ მართლ მსაჯულლებას, სხარულით  
იგონებდნენ თავიანთ კეთილ-განწყო-  
ბილებას ნ. მიტროპოლიტებთან და  
იმათ მამობრივ ზრუნვას მათზე. ისი-  
ნი ბედნიერებად ჰრაცხდნენ თავიანთ  
თავებს, რომ ესეთი კარგი დროს  
მომსწრენი იყვნენ.

როგორც მოწამე უწინდელი ნინო-  
წმინდის დიდებისა, დღევანდლამდე  
დარჩენილა დიდ-შენი დაქცეული ეკ-  
ლესია თავის დიდი გალანით და  
კოშკით (სამრეკლოთი). მს ეკლესია  
აშენებული უნდა იყოს ან მანტანგ  
ბორგასლანის დროს, ან უფრო წი-  
ნედ. საჭიროდ ვთვლით მახუშტის და  
პლ. იოსელიანის მოწმობანი მოვი-  
ყვართ აქ, ამ ეკლესიის შესახებ. პი-  
რასა სწერს ბატონიშვილი მახუშტი:  
„იორს ერთვის ნინო-წმინდის ხევი,

ამ ხეზე არს ნინო-წმინდა, ეკლესია  
დიდ-შენი, გუმბათიანი, რომელი აღა-  
შენა ბორგასლან და დასვა ებისკო-  
პოზი, და ზის აწამდე მწყემსი ამა  
ქვეყნისა მისიყამდე\*). პლ. იოსე-  
ლიანი კი ამბობს შემდეგს:

„Нино - цилиндскій каедральный  
храмъ обращенъ изъ языческаго ка-  
пища въ христіанскую церковь еще  
при жизни св. Нины. До половины  
XVIII стол.—храмъ мрачной архи-  
тектуры съ 8 входами сквозь осьми-  
конечныя толстыя стѣны съ стран-  
ными дѣленіями и нишами внутри,  
для неизвѣстныхъ въ христіанствѣ  
назначеній, — стоялъ твердо. Никто  
не смѣлъ трогать его завѣтной дре-  
вности — свидѣтельницы проповѣди  
вокругъ его св. Нины и погашенія  
въ немъ или огнища персидской пи-  
рожатри, или куренія идоламъ гру-  
зинскаго язычества... Въ 1847 г., на  
остаткахъ этого древняго храма, и  
изъ матеріала разрушеннаго соору-  
дили малую церковь, не сохранивъ,  
кажется, и плана древней святыни  
Etiam periere ruinae (ვალავ დაიჭა  
ძველი ნაშთი.)

\*) იხ. I ружинская іерархія, соч ар-  
химан. Евгенія.  
\*\*) იხ. ვახუშტის გეოგრაფია 292 გმ.

\*) ეს ის არსენი უნდა იყოს, რომელიც  
მხოლოდ კრებებზე დაესწრო.  
ავტ.

\*) იხ. ვახუშტის გეოგრ. გვ. 292.

\*) იხ. опис. др. Тифлиса стр. 132.  
უნდა შევნიშნოთ, რომ ახალი ტაძარი ძვე-  
ლის ნანგრევებზე კი არ არის აშენებული,  
არამედ სხვა ადგილს, ძველის ტაძრის ნაად-





ბუღის ვიყავით და ასეა ისე დაიწყო გარდაცვალება და აქვს ახლა. ამას წინადაც ვასანაურში მოკლეს ერთი სამედიცინო და მეკვლეო დღესაც ვერ აღმოუჩენიათ. ოქტომბრის დამდევს სოფ. მდეთის ახლა გაქანებული ფოსტის ეკლავამ მთავარს ნაგავს ერთი ნაწილი და დასასრულ ოქტომბრის 12 სოფ. სტეფან-წმინდამი (ეზბევი) მოკლეს ორი ხაფარი.

გან. „კავკასი“ შეუტყუა საჩქმუნო წყაროთაგან, რომ ვადავიკაისის სავაჭრო საქართველოს სავაჭრო საზოგადოებას განსახლებული ცალკე დამოუკიდებელ კაპიტალს გადასცემს და მის ეპისკოპოსს მისთვის სახელ-წოდება თუ გისა და ვადავიკაისის ეპისკოპოსის სახელით...

ქაჯას სასწავლებელთ კომიტეტს საქალაქო სკოლების შედამხდევად გაუწესება საზღოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის თანხმად ბ. ბაბხუაროვი, რომელსაც 1 კლასი უნს განსახლება სომხურს ეხს ასწავლის და რომელიც წინადაც დუშეთის სასწავლებლის შედამხდველი ყოფილა. ვამაგირი 720 მან. ექმნება ამ ბაზსუდაროვს წელიწადში. (გან. „კავკასი“).

„დროების“ კორექტირება

წინა-მხარი (სადნადის მარცხ), ოქტომბრის 10-ს. საქართველოში ისეთი ბედნიერი კუთხე არ მოიპოვება,

მკლესა ჯვარის მზგავსად ყოფილა აშენებული, სივით და სიგანით ოც-დარვა აზნინანი. დღევანდლადის მთლად დარჩენილა მხოლოდ ამ ტაძრის საკურთხეველი, სიმალით შეიდ საენიანი, რომელიც მესამედს ნაწილს შეადგენს ეკლესიას. როგორც ამ დარბაზიდან სხანს, ეკლესია დიდი, მაღალი და მშვენიერი უნდა ყოფილიყო. ძრვიელ გასაკვირველი არის, ჩვენს დროდის როგორც მარხნა ეკლესიაში მით უფრო გასაკვირველია, რომ კედლები ღორლით და უსწორ-მასწორო მსხვილი ღორღებით არის აშენებული, ესე იგი იმისთანა მასალით, რომელიც ხელს უწყობს შენობის მალე დაქცევას. მკლესიის კედლების ქვეშე ხუტური და ლათინური წარწერანი ყოფილან, რომელთ შორის ზოგი დროთა ვითარების გამო და ზოგიც წემისაგან გარდაცვლილან. მხლა მხოლოდ ზოგიერთა წარწერანი მოჩანან, რომელიც ჩვენ ცალკე გადმოვიღეთ მკოდნე პირთა გარდასაცემლად. მხოლოდ აქ კი — გაზეთში — ითულებულნი ვართ მოვიყვანოთ ეს წარწერანი მხედრული ასოებით: ქტა ქე შეთე მხსნ სჟე დხსჟე \*).

გოდვეს ახლო ნაშთი ძველის ტაძრისა დღევანდლამდე დარჩენილია et quoriam non periere ruinae, გადარჩა ძველი ნაშთი, მისივე სიტყვით.

\* ზოგიერთი შემოამოყვანილი წარწერა...

რომ მაწანწალა ვაქრებს გადარჩენილიყო. მს სენი ჯერ-ჯერობით ყველა მხარეშია, მაგრამ, ჩვენ და საბედნიეროდ, ჩნდებიან აქა-იქ იმისთანა პირნი, რომელნიც ცოტად თუ ბევრად ცდილობენ ამ სენს წამალი დაადონ: აა სევე ბანკებს და საზოგადო დეპოზიტებს. მს დაწესებულებანი ცოტად წარმატებაში მიდიან ზოგიერთ ალაგას და ზოგიერთ ალაგას კი უდროვოდ ისობიან. მს, რასაკვირველია, იმ პირთ დანაშაულია, რომელთაც დაიწეს საქმე და წარმოების დროს შესაფერი ფხა ვერ გამოიჩინეს. აქ მე მოგახსენებთ, ჩვენს უდროვოდ მხეს-მოშორებულ წინამხარის ბანკებზედ.

სხვა სოფლის საზოგადოებას, რომელიც წინამხარს შეადგენენ, ორი ბანკი ჰქონდათ სოფ. პარდანანში და სოფ. ბურჯანში. მუშაკ ორივე და უფრო პარდანანისა, პირველ ორი წელიწადს მართლა საგანგებო წარმატებაში იყო შესული, მაგრამ, დასწყევლოს ამერთმა ქართველური ხათრი და გულ-ცრუება საქმეზედ. პირველ წლებში პარდანანის „ბანკმა“ ბევრ სოფლი-ქაშიებს ამოუღო აღვირი, თავი მოაფხანინა. მითქმის ხუთი-ექვსი მაზლობელი სოფლის საზოგადოებანი იბიძნო ვერგებად, მაგრამ რა? მს ბედნიერება წუთიერი აღმოჩნდა. მთელი ორი-სამი წლის მოტრიალებული ბანკში ფული, რომელიც ხუთას თუმნადის ავიდა, ყველა წევრებმა გაზიდეს ისე ბლომბლომად, რომ დღეს ველა შეაქვთ,

ამ ორი საუკუნის წინად ნინო-წმინდელ მიტროპოლიტს ნიკოლოზს ეს ეკლესია განუხლებია მიტინდვან და აღუშენებია კარსი ბჭე ეკლესიის შესავალში. სარებ ბჭეში რომ ვერ ვალთ თქვენს ყურადღებას პირველად მიიტყვეს ოთხ-კუთხი ქვა შემდეგი წარწერითა: „ხსენებთა და შეწვენი-თა ლეთისათა ხელ-ყავე განახლებად ანდრონიკა შეილმა ნინო-წმინდელმა ნიკოლოზ განვახლებ გარეთ აგურითა და დავახტენე კანკელი და შევაკვე სრულიად და აღვაშენე კარის ბჭე ესე. ჰი შემწე ჩემ და შეწვენად ლეთისა ამ ბენებელისა მისისა შესავედრებელო წმ. ნინო შეიწირე მცირე ესე ნაშრომი ნაცვლად მაგ დღესა დიდსა განკითხვისასა ამინ. ძ-სა ტნთ (1579 = 1671 წ.). მკლესიის მხატვრობა მკრთალად მოჩანს კედლებზედ. სხვათა მხატვრობათა შორის შესანიშნავი არის სურათი ლეთის-მშობლისა, რომელიც სგაბით სრული ორი საყენი იქნება.

1750 წ. ნინო-წმინდელ მ. მიქელს ეკლესიისათვის ძველი გუმბათი მოუქცევია და მის ნაცვლად მოუდგამს ახალი, განიერი და მაღალი გუმბათი, მაგრამ ეკლესიის ძველ კედლებს დი-

ნი ჩვენმა გამაჩნებლმა ისტორიკოსმა ბ. დ. ბაქრაძემ ერთის თვალის გადავლებით აი ესე ამოიკითხა: ქტა=ქრონიკონსა სამას ეროსა, ქე=ქრისტე, შეთე=შეიწყალე თეოდორე. მხს=მოხსენე.

ანუ, უელ ესთქათ, უფრო არ უნდათ, რომ შეიტანონ. მით „ბანკის“ მმართველობის წევრებსაც, წედების წინააღმდეგ, გაუზიდნათ მომეტებული ფული და დღეს ყურსაც არ იბერტყავენ საქმის გასწორებისათვის.

დღეს, ლეთის-წყალობა გაქვთ, კარგად გრძობენ „ბანკის“ წევრებ-უბანკობას. მაჭირების დროს იგინი მამართავენ ხოლმე სოფლი-ქაშიებს, რომელიც საზგებლობენ ამ გარე მოებით და 50% საზგებელს ართმევენ. მუ კიდევ ტუბილზედ გამოართვეს ფული, მაშინ მანათად და უფრო ნაკლებადაც იყვითავენ ჩაფს, მეტე რა ვალდებ ნასესხებ ფულში მი-აქვთ ეს უღმერთო საზგებელი? სულ ხუთ თვეში. რად აძლევენ მაგოდნა საზგებელსაო? — ითხათ. მოდი და ნუ მისცემენ, როდესაც დანა ექლში აქვთ დაჭერილი და ისე სთხოვენ ფოსტის ფულს კოტრ-განა-ფხულში გლენს. მხლა კი, ვაზნებთ, საქმარისად იწენის წენი და ბანკის საჭიროებას ორჯელ მეტადა გრძობენ. ნუ თუ ეხლაც არ უნდა მოიწადინონ მისი წარმატება? მოსავალი ეხლა თითქმის ყველამ მშვიდობით შეიტანა სახლში და „ბანკის“ ვალის მოშორება ისე საძველო არ იქნება, როგორც სხვა დროს.

მ. ი. აფხაზი, თავსმჯდომარე და ხაზინადარი ამ ბანკისა, ძლიერ შეწუხებულია თურმე, რომ საზოგადოებამ მისი გულ-ჩვილობა ვერ გამოიყენა

დი სმშიმე ვერ დაუტყრიათ და ამიტომ ეკლესია მალე დაქცეულა. ამ გუმბათის შესახებ შემდეგი თქმულე-ბა დარჩენილა ხალხში. ერთხელ, როდესაც მეფე მრეკლე II-ს იერის-ხეობაში უმოგზაურნა, ჩვეულებისამებრ სოფ. ნინო-წმინდაში შებრუნდა; აქ მეფის წინაშე მიქელ ნინო-წმინდელს სიტყვა წარმოუთქვამს, რომელშიაც სხვათა შორის ისიც მოუხსენებია, რომ მან (მიქელმა) თავის მკაცრდინობით აღაშენა გუმბათი. მეფე მრეკლეს ჯერ კედლებისთვის შეუხედნია, მეფე გუმბათისათვის და შემდგომ უთქვამს: „მეწმუნე, მღვდელ-მთავარო, რომ ეკლესია შენ დაგინგრევია და არ ავიშენებია, საბალნე დიდი დავიდგამს, ფხეები გამოგიტლია“. მეფე მრეკლე II-ის სიტყვები მალე ასრულდებულან: ძველ (თუ ვერ-წმუნებით განსვენებულ პლატონ იოსელიანის სიტყვებს, ეკლესიის კედლები ძრითეს წინად ყოფილა აშენებული) და სხელ კედლებს დიდი სიმძიმე ვერ დაუტყრიათ და ეკლესია 1824 წ. დაქცეულა ნახევრობამდის.

რამდენიმე საყენის მოშორებით ეკლესიიდან აღმართულია დიდი და მაღალი კოშკი (სამრეკლო), აშენებული აგურითა. როდის უნდა იყოს აშენებული ეს კოშკი, ეკლესიასთან ერთ დროს თუ შემდეგ წლებში, ძნელი ვასაგები არის, რადგან არც მახუშტი, არც პლატონ იოსელიანი არას ამბობენ

საერთო საქმეში და მართლაც მსე უღალატა.

მიემართავთ თ. ი. აფხაზს, რომ კიდევ არ დაიშუროს მცირედი შრომა და როგორც ბანკის დაარსებაში სოფ. პარდანანში გამოიღო თავი, აგრეთვე ეხლაც შეუდგეს საქმეს და ხალხი აცდიოს უღმერთო ცარცვას.

მართალია, ბევრი უსიამოვნო შეგმობევა მოელის თ. ი. აფხაზს ამ საქმის ხელ-ძეგრედ ფხეზე წამოყენებისათვის, მაგრამ საზოგადო საქმე არ გაკეთდება, თუ უსიამოვნობას, ქორიკანობას და ნათესავისა და მეზობლობის წყენას მოვერიდებით.

ი. გახელი.

ახალციხე, ღვინობათვის 14-ს.

მითქმის 12 წელიწადია, რაც ახალციხეში მიქმედობს „ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოება“, რომელმაც თვის დაარსების დროსვე განსნა ქალაქის ძველ ნაწილში, რაბათში, საქალო ერთ-კლასიანი სასწავლებელი. ამ სასწავლებელში წერა-კითხვისა და პირველ-დაწყებით საგანთა გარდა ასწავლიან კიდევ ხელ-საქმეს. წინა წლებში ხსენებულმა საზოგადოებამ დიდი მეცადინეობა გამოიჩინა და იმითომ სკოლის საქმეც კარგად მიდიოდა; ეხლა კი სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო სკოლა არა სანატრელ მდგომარებაშია. მუშაკა ქალაქმა აუთქვა სკოლის ყოველ-წლიური შემწეობა 300 მ., მაგრამ თავის დროსე ვერ იძლევა

ამის შესახებ, და არც წარწერა რამე ეტყობა, რომ კაცმა დაახლოებით მაინც გაიგოს ამის აშენება. მტრის დაქცემის დროს, აქაურნი მცხოვრებნი ამ კოშკში იხიზნებოდენ და აქედგან იგერებდენ მტერს. მართხელ, როდესაც მტერს ბევრი ცდის შემდეგ კოშკი ვერ აუღია, ბოლოს მოუგონია ის ხერხი, რომ ბევრი თივა „აუკოკოლებია“ კოშკის კარებში, მოუკიდნია ცეცხლი თივისთვის და შეხიზნულნი სულ ყველანი ბოლისაგან და ცეცხლისაგან ამოუხერხეთა. მხლაც ეტყობა კოშკში მაშინდელი ცეცხლის კვალი

როგორც წინადაც მოვიხსენიეთ, ნინო-წმინდის ეპარქია უფწ. სინოდს ამ საუკუნის დასაწყისში გაუტყმებია. რაკი გაუტყმებულა კათედრა ნინო-წმინდელისა, მაშინდელ რუსის სასულიერო მთავრობას საჭიროდ დაუნახავს ყველა ძვირფასი სამკაულის და ნივთების წაღება წმ. ნინოს ეკლესიიდან. როგორც მომსწრეთაგან გამოგონია, ბევრი ვერცხლის და ოქროს ნივთები წაუღიათ. სხვათა ნივთთა შორის, რომელნიც წაღებულან აქედგან, შესანიშნავნი ყოფილან: წმ. ჯვარი, მოქედილი ძვირფასი თვლებით და წმ. ნინოს ხატი. უმჯობესი იქნება, აქ ცოტა ხანს ჩვენი კლამი შევჩეროთ და განსვენებული პლატონ იოსელიანის კალამს ავაწერი-ნოთ ეს ხატი.

„Икона Св. Нины весьма древняя,





დაპირებულს. წინედ საზოგადოებასა ჰქენდა ორმოცამდე წერი და საწვე-  
რო ფულიც თავის დროზე შემოჰ-  
ქონდათ; ეხლა ათამდე წერია და  
იმათშიაც ზოგს ორი სამი წელიწადია,  
არა შემოუტანია-რა. ძარგი შემოსა-  
ვალი ჰქონდა სკოლას აგრეთვე საქ-  
ველ-მოქმედო აზრით გამართულ  
წარმოდგენებიდამ და კონცერტებიდამ.  
მხლა ამ გვარი შემოსავალიც შეუმ-  
ცირდა. ამ მიზეზებისაგამო ვერც მას-  
წავლებლები იღებენ დროზე სრულს  
თავიანთ ჯამაგირს და ვერც სხვა-და-სხვა  
გვარი სკოლის საჭიროება კმაყოფილ-  
დება. თუმცა სკოლის შემოსავლის  
გასაძლიერებლად ბოლოს დროს სკო-  
ლის კომიტეტმა წესად შემოიღო სწავ-  
ლის ფასი გამოერთოს შეძლებულ მოს-  
წავლეებს, 3 მ. სულზე, მაგრამ ეს შე-  
მოსავალი ვერას უშველის. საჭიროა  
საზოგადოებამ მეტი მეცადინეობა  
გამოიჩინოს და ან ეხლანდელი შე-  
მოსავალი გააძლიეროს, ან ახალი  
შემოსავლის წყარო გაუჩინოს. წელს  
სკოლაში 73 მოსწავლე ქალია (მსურ-  
ველი სწავლისა კიდევ უფრო მეტია)  
და ორი მასწავლებელი ჰყავს: ერთი  
ხელ-საქმისა და ერთიც საგნებისა.  
სკოლის კომიტეტი არა ზრუნავს არც  
სკოლის ორგანიზაციაზე და არც მის  
საკუთარ ნივთებზე. რა წესზე ან რა  
პროგრამით სწავრობს სკოლა, კაცი  
ვერ მიხვდება. სკოლის ნივთები არა  
აქვს ჩაბარებული მასწავლებელს და  
სხვ... ბოლოს ვისურვებთ სკოლის  
წარმატებას შემდეგში მაინც.

ღვინობისთვის 10-ს სოფელ აბას-

Она была храмовою Нивоцминдскаго  
Каедралнаго Храма въ Кахетіи,  
упраздненнаго въ 1817-году. Ниж-  
няя доска иконы усыпана вся моща-  
ми, а въ серединѣ вложена часть  
животворящаго креста. Всѣ онѣ имѣ-  
ютъ греческія надписи, съ трудомъ  
разбираемыя, докзываются гречес-  
кое просихождеіе Иконы. Икона  
эта съ двумя другими слагаемыми  
дверцами, на которыхъ есть выпук-  
лыя изображенія Распятія и Крест-  
ителя и всѣхъ Святыхъ и украшена  
золотымъ окладомъ, ссыпаннымъ 37  
зелеными изумрудами разныхъ формъ  
и величинъ; 28 жемчугами, 29 крас-  
ными лалами, изъ коихъ 2 по вели-  
чинѣ весьма замѣчательны, большимъ  
четверо-угольнымъ яхонтомъ. Надъ  
этими золотымъ окладомъ есть слѣ-  
дущими церковными буйвами над-  
пись:

წმინდა მოციქული ნინო, მეოხ-  
მეკე ორსავე ცხოვრებასა ჰყვება  
არჩილს, რომელმან შემოგწირე ესე  
სულისა საოხად და მეფობისა ჩენი-  
სა განსაძლიერებლად, შევაძეუე ხატი  
ესე\*)». ამ მოკლედ ნინო-წმინდის  
წარსული და ეხლა თქვენ ქურად-  
ლებას მივაქცევ ახლანდელ ნინო-წმინ-  
დაზედ.

სოფელი ნინო-წმინდა აშენებულია  
მშენებელ მღვდარეობის ალაგზე.  
ჩრდილოეთის მხრით უძვე ტყიანი  
მთები; სამხრეთ - აღმოსავლეთის მხა-  
რეს თვალ-გაუწვდენელი მიწები -

\*) იხ. Описаніе древностей Города  
Тифлиса соч. Иоселиани 1:2 გვ.

თუმანში ორი კაცი მოჰკლეს. ამ ო-  
გარ მოხდა ეს გარემოება: აბას-თუმ-  
ნელ გლესს ემართა აჭარელი გლესისა  
ერთი მანათი; ხსენებულ დღეს აჭა-  
რელი მოვიდა მოვალესთან და დაუწ-  
ყო ჯერ მანათის თხოვნა, მე-ე ცე-  
მა; უკანასკნელს მიეშველა მეზობელი;  
აჭარელმა ჯერ უთხრა, ნუ ეშველები,  
თორემ მოგკლავო; აჭარელს გული  
მოუვიდა, აუხრულა მუქარა და გაიქ-  
ცა; მაგრამ მას გამოუდგა თოფით  
მოკლულის ძმა და ძმის გზას გაუყო-  
ლა აჭარელიც. ასე კი შეიქმნა ორი  
კაცი ერთად ერთი მანათის მსხვერპ-  
ლად!

შაქრო.

**წმინდი რამაძორთან.**

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ მის-  
ცეთ ადგილი თქვენს პატივცემულს გა-  
ზეთში ორიოდ სიტყვას და ჩებატა-  
ურის სასოფლო სკოლაზედ. შარ-  
ხმა არის პატარა და მასთან ღარიბი  
საზოგადოება მსურვეთის მაზრაში,  
მაგრამ ესეც არ ჩამორჩა სწავლა-განათ-  
ლების საქმეში სხვა სოფლებს და წელს  
იკისრა გახსნა ერთ-კლასიანი სასოფ-  
ლო სკოლისა დაბა ჩებატაურში, სა-  
დაც ააგო რიგიანი სახლი სასწა-  
ვლებლისათვის მართო მეტელით  
პედაგოგიურ მოთხოვნილებათა შე-  
თანხმებით, და ეს სამი კვირა იქნება,  
რაც დასახლებულ სკოლაში სწავ-  
ლა დაიწყო. სკოლის ნივთიერი  
მდგომარეობა ძალიან სამწუხარო იქ-

მოგრებილი მინდვრები. მცხოვრებ-  
ლები ამ სოფლისა რიცხვით 160 კომ-  
ლამდის იქნებიან. სახლები მომე-  
ტებული ნაწილი მიწურია და ახ-  
ლო ზედი-ზედ მიკრილი; მაგრამ ჩვენ-  
და სასიხარულოდ ამ უკანასკნელ  
წლებში ნინო-წმინდის „ნელა-  
ნელა“ სტოვებენ თავიანთ სოროებს  
და მიწურების ნაცვლად აშენებენ  
ქვიტკირის სახლებს. მჯახბი აქ, რო-  
გორც საქართველოს სხვა კუთხეებში,  
იშლება და ირღვევა: იშვიათად შეკ-  
ხედებით, სამნი ძმანი ერთად სცხოვ-  
რებდნენ, რისგამოც ხალხი ძრიელ გა-  
ღარიბებულთა და გაუფქსავატებული.  
მეოთხედს ნაწილს ამ სოფლისას  
შეადგენენ სომხები. უწინ ქართვე-  
ლებს, როგორც უმრავლესობას, სომ-  
ხებზე ძრიელ დიდი გავლენა ჰქო-  
ნიათ, ისე რომ თავიანთი ენაც-  
კი სრულებით დაუკარგავთ. მხ-  
ლაც ერთსა, ან ორს თუ შეხვდებით,  
რომელნიც დიდის გაჭირვებით ძლივს  
ამტვრევენ სომხურად. მხოლოდ სარ-  
წმუნოება და ზოგიერთი სომხურნი  
ჩვეულებანი აერთებთ მათ. ზანხეთ-  
ქილება, შური და შუღლი ქართვე-  
ლებისა და სომხების შორის არ არსე-  
ბობს. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ  
აქაური სომხები მხენელ-მთესველ დასს  
ეკუთვნებენ, როგორც ქართველები.  
შმათერესს სიმდიდრეს ნინო-წმინდე-  
ლებისას შეადგენს პურის და ღვინის  
მოსავალი. პური მოჰყავთ კარგი  
თვისებისა, ღვინო კი საშუალო

ნება, თუ სხვა რამ წყარო არ აღმოჩ-  
ნდა საიდანმე. ამას დღესაც კარგად  
გრძნობენ ზოგიერთი პატივცემულ-  
ნი პირნი და მეცადინეობენ შემწეო-  
ბა აღმოუჩინონ ნორჩს სკოლას. ამ  
დღეებში პოლიციის პრისტაის ი.  
დ-ძის თაოსნობით გაიმართა სკო-  
ლის სასარგებლოდ ხელის-მოწე-  
რა ნებაყოფლობით შემწირველთა.  
მოგვეყვს სია ქველ-მოქმედთა:

- თ. ა. პრისტაემა შესწირა ამ სკო-  
ლას 30 მან. თაე. ვ. პრისტაემა 15 მ.  
მომრიგებელმა მოსამართლემ ბ. მ.  
მეიმოემა 25 მ. (ბ. მ. მეიმოემა  
აღუთქვა ხსენებულს სკოლას ყოველ  
წლობით 30 მან. შეწვევა). თ. დ.  
პრისტაემა 10 მ. თ. იელიანე პრის-  
თაემა 5 მ. თ. ივანე პრისტაემა 5 მ.  
მომრიგებელმა მოსამართლემ თ. კ.  
პრისტაემა 5 მ. ნ. მთათელაძემ 10 მ.  
ი. დუმბაძემ 5 მ. ვ. პირუბოემა 5 მ.  
ბ. ჯლენტმა 5 მ. პ. ბერიძემ 3 მ.  
დ. სანიკიძემ 3 მ. თ. თ. პრისტაე-  
მა 5 მ. ი. წინამძღვაროემა 5 მ. ვ.  
აკრიტიმ 5 მ. ა. ბებურიშვილმა  
3 მანათი.

დაბა ჩებატაურში მოვაქრებმა შეს-  
წირეს თითო მანეთი 3 მანათამდე,  
ასე რომ ამ გვარი შესწირაეიდამ შე-  
მოვიდა სულ 205 მან. ეს ფულები  
გროვდება (უმეტესი ნაწილი მოგრო-  
ვებულიც არის) პოლიციის პრისტაის  
ბ. დ-ძის და სკოლის მხრუნველე-  
ბის მიერ და მალე მიიქცევა დანიშ-  
ნულებისამებრ.

ბულითადს მადლობას ვუძღვნით და

წელს პურის მოსავალი იერის-  
ხეობაში და განსაკუთრებით ამ სო-  
ფელში ძრიელ ნაკლებია; სამაგიე-  
როდ ღვინის მოსავალს კარგი პირი  
უჩანს, თუ სეტყვამ და სხვა ამ გვარ-  
მა საზინელმა ბუნების მოვლენამ არ  
წახდინა. მითი სამწუხარო მოვლენა  
არ შეგვიძლიან არ შევინიშნოთ აქ:  
ქართველები ნინო წმინდაში ას კომლ-  
ზე მომეტებული იქმნებიან და ერთ  
კაცს ვერ იბოვნით მათში, რომელ-  
მაც წერა-კითხვა იცოდეს მაშინ, რო-  
დესაც სომხები, არა უმეტესი ორმოცის  
კომლისა, ნახევარზე მომეტებულინი  
დახლოვებულნი არიან ქართულ  
წერა-კითხვაში. ეს მოვლენა ერთის  
მხრით ძრიელ სამწუხაროა, რადგანაც  
ძირმოდგით ნამდვილი ქართველები  
სრულებით უმეცარნი არიან წერა-  
კითხვაში თავიანთ სამშობლო ენა-  
ზედ; მეორეს მხრით სასიამოვნოა.  
მამობს სასიამოვნოა მეტეი, იმიტომ  
რომ აქაური სომხები ქართულს აღია-  
რებენ სამშობლო ენად და ამი-  
ტომ ეტანებიან მის შესწავლასა.  
ძრიელ გასაკვირველი არის, რითი  
უნდა აიხსნებოდეს ერთი ხალხის წინ-  
წასვლა და მეორესი უკან დახევა,  
როდესაც ორნივენი ერთსა და იმავე  
პირობათა შორის იმყოფებიან? სომ-  
ხები თუმცა ნაკლებნი არიან რიცხვით  
ქართველებზე, მაგრამ მათ, როგორც  
მეცადინე და მოხერხებულს ხალხს  
დიდი გავლენა აქვთ სოფლის საქმეებზე.  
მოსამართლობა და მამასახლისობა მომე-

სახელებული პირთ და აგრეთვე დ.  
ჩოხატაური მოვაქრე ხალხს მშ-გვარი  
თანაგრძობისათვის და იმედი გვაქვს,  
რომ ეს თანაგრძობა მათგან უკა-  
ნასქელი არ იქმნება. ღმერთმა  
ჰქნას, რომ ამათ მართლა და მისაბა-  
ძეე ქცევას სხვაც გამოეწვიოს ამ გვარ  
საქველ-მოქმედო ასარგებზედ-

მასწავლებელი ა. წ.

**ცელეგრები**

(„ჩრდილოეთის სასკენტოსი“)  
ოქტომბრის 16-ს

კუშტი. როდესაც იმპერატორმა  
დედუეცები მიიღო, უთხრა:  
„შარშან მე იმედი გამოგაცხადე,  
რომ მშვიდობიანობა არ დაირ-  
ღვევა-მეთქი და კიდევ გამართლდა  
ეს იმედი; არის კიდევ უფრო საფე-  
ძლიანი იმედი, რომ მშვიდობიან-  
ობა შემდეგშიც არ დაირღვევა;  
ჩვენ კვება სახელმწიფოებთან,  
განსაკუთრებით მეზობლებთან,  
ფრთხილ მეგობრული განწყობილე-  
ბა გვაქვს. ამას წინადა მე ვნახე იმ-  
პერატორები სრულიად რუსეთი-  
სა და გერმანიისა; ამ ნახვამ არამც-  
თუ შემთხვევა მომცა განმეახლები-  
ნა ჩემი გულისათადი მეგობრობა  
სრულიად რუსეთის იმპერატორის  
სახლისადმი, არამედ ჰუმანობის  
კიდევ, რომ სამთა ხელმწიფეთა  
შორის ჰსეფევეს სრული თანხმო-  
ბა მშვიდობიანობის დაცვის შესა-

ტებულ ნაწილად სომხებს უფარდებთ  
ხელში... სოფელი ძრიელ საჭიროებას  
სკოლას, მაგრამ ჯერ გახსნა არ ჰლი-  
ბია; თუმცა ეს ოთხი წელწადი იქნება,  
რაც სოფელმა, ორი პატივცემული  
პირის ჩაგონებით, განაჩენი დაადგი-  
ნა და უმაღლეს მთავრობასთან დასამ-  
ტყცებლად წარგზავნა. ადგილობ-  
რივმა მამასახლისმა ანტონ მღვრი-  
შიელმა რამდენჯერმე თხოვნა გაუგ-  
ზავნა სახალხო სკოლებს დი-ექტორს  
ბ. ღარსკის, რომელსაც სთხოვდა  
ეშუამდგომლა უმაღლეს მთავრობას-  
თან, რომ სკოლა მალე გახსნილიყო  
და თუ სკოლას ოპიციალურად გახ-  
სნა დაუგვიანდება, მასწავლებელი  
ვინმე დაენიშნა დროებით სოფლის  
ჯამაგირზე; მაგრამ სკოლა ჯერარ-  
გახსნილა...

სოფელს სკოლის სახლის აშენე-  
ბა არ დასჭირდება, რადგანაც ეკ-  
ლესიის ახლო, ეკლესიის ოთახები  
უქმად - ცარიელები არიან. ბ. ანდრ იხ  
ძაპანაძე, სოფლის მინდობილობით  
შუამდგომლობს სასულიერო მთავრო-  
ბასთან, რომ ეს ოთახები ან სამუ-  
დამოდ დაეთმოს სოფელს სკოლისათ-  
ვის, ან მცირე ქირით მიეცეს.  
მისურვებთ ეხლა მაინც მალე ელირ-  
სოს ნინო-წმინდას სკოლის გახსნა  
და რომ ნინო-წმინდის მიემარ-  
თნოთ სკოლის გამართვის სურვილით  
წერა-კითხვის სასოგადოებისათვის.“

აღ. გულისაშვილი.  
სოფ. ნინო-წმინდა.  
8 აგვისტოს. 20





სებ, რომელიც ასე საჭიროა მათი ქვეშევრდომების კეთილდღეობისათვის. ეს თანახმაა, დაუქმდნებელი ტრაქტატების პატივისცემაზე და ერთი-ერთმანეთის ნდობაზედ არამცთუ ჩვენ მოვკიდებინათ სარგებლობას, არამედ უველა ხალხებსაც. შემდეგ იმპერატორმა უჩვენა, რომ საჭიროა ხარჯი ღვივის ნაპირების გასამაგრებლად, სიამოვნება გამოაცხადა იმის გამო, რომ ბოსნია და ჰერცეგოვინა დაამპყიდეს და დაუმატა, ეხლა შეგვიძლიან ექაერი გარნიზონები შევამკირეთო.

ოქტომბრის 17-ს.

**მოსკოვი.** ბაღე გაიხსნება აქ საგებერნიო ერობის თაოსნობით გამოფენა წვრილ მწარმოებელთა სამაგალითო ხედი ნაქმართა.

**ხარკოვი.** გუმინ გაიხსნა აქ მეცხრე კრება მომადნეთა; განხილულ იქმნებინა შემდეგი საგნები: რკინის გზის ტარიფისა, მადნის ნაწარმოებთათვის ბაზრის გაფართოებისა, მადნებზე მომუშავეთა მდგომარეობის შესახებ და შესახებ რკინის გზის წვრილი მტოებისა და ნავთ სადგურებისა.

**ბერლინი.** დაიწყო არჩევანი გერმანიის პარლამენტში; რეზულტატი ჯერ გამოჩვენდა არ არის, ბევრის შესახებ ხელახლად იქმნება კენჭის ურთ; ბერლინი ამორჩეულ იქმნა ჯერჯერობით ერთი სოციალისტი და ერთი წევრი უკიდურესის ღიბერალური პარტიისა.

### ცნობანი

**საავადმყოფოს დირექტორი ბენიკოვიჩი** ამით აცხადებს, რომ ქობილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულ საავადმყოფოში 1866 წლის არილის 4-ის მოსაგონებლად აქტობრის 5-დღან შემოღებული იქნება მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამობით მორიგად ყოფნა ბ. ექიმთა და ბებიათა.

**მკვიდარი:**

**არუთიენიანი,** რომაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორკონა,** სამშაბათობით და შაბათობით.

**ველიძე-შარსა ჯანოვი,** ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ბაიბაი:**

**შილჩაქოვისა,** სამშაბათობით.

**ბაზინოვისა,** ორშაბათობით, და პარასკეობით.

**სტაშანოვისა,** ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოპოვისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

**მაზანდა**  
ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ლუქნებში და ხელდახელ 1 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე 1884 წ.

გამომცემი შური რუ.	სეპას ფურცლისა	— 1 გი.	5 კ.
აქაურის ფურცლისა: პირველის სარისხისა	— 1 გ.	2 1/2 კ.	
მეორისა	— 1 გ.	2 კ.	
იმევე ფურცლი. თორმეტი გამომცემი:			
პირველი სარისხისა	— 1 გ.	4 1/2 კ.	
მეორისა	— 1 გ.	3 კ.	
მესამისა	— 1 გ.	2 1/2 კ.	
ჭკარის-მამი შური:			
პირველი სარის. ღვაჭა	1 გ.	4 1/2 კ.	
მეორის სარის. ღვაჭა	1 გ.	3 1/2 კ.	
მესამისა	— 1 გ.	3 კ.	
ძროხის სორტი:			
პირველის სარისხისა	— 1 გ.	7 კ.	
მეორისა	— 1 გ.	6 კ.	
სუკი	— 1 გ.	14 კ.	
ცხკის სორტი	— 1 გ.	7 კ.	
ღორის სორტი:			
პირველის სარისხისა	— 1 გ.	— კ.	
მეორისა	— 1 გ.	— კ.	

### განცხადებანი

**წარა-კითხვის საზოგადოებისა**  
შემატველობისაგან.

**ქართვალთა-შორის წარა-კითხვის ბაზარსა-მართალი საზოგადოებისა** ამართვალთა. უმორჩილესად სთხოვს პატივცემულ წევრთ, როგორც დამფუძნებელთ, ისე ნამდვილთ, წარმოგზავნონ თავიანთი ხედილი საწევრო ფული ამა 1884 წლისა, პირველთ ოც ოცი მანათი, ხოლო მეორეთ — ექვს-ექვს, შემდეგის აღრესით:

**ТИФЛИСЪ. Казначей Общества Распространения Грамотности среди грузинскаго населения Георгию Давидовичу Картвелову** (Михайловская улица, совет. домъ). (10-4)

გამოვიდა და ისეიდება ყველა წიგნის მალა იგნებში  
**ახალი წიგნი**  
**არითმატიკა**  
სახელმძღვანელოდ სოფლის სასწავლებელთათვის, შედგენილი მიხეილ შაალის-ძის შიფიანისაგან.  
ფასი 80 კ. გაგზავნით 1 მან. (10-1)

გამოვიდა და ისეიდება თბილისის უმთავრეს წიგნის მალაზიგნებში მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური  
**ლექსიკონი**  
**მცხარათა, სხოვალთა**  
და  
**ლითონთა**  
სამეფოებრიდან, შედგენილი თავ. რაფ. შირისთავისაგან. შასი ადგილობრივ ორი მანათი. (10-9)

**ინგლისის მალაზიგნებისა**  
თქმის-ამოქვეყნის  
ამაგრებს თმას და ადრანდელ ფურს აძლევს, ფასი ერთი შუქმისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.  
(100-74)



ამაგრებს თმას და ადრანდელ ფურს აძლევს, ფასი ერთი შუქმისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

**ბიბლიოგრაფიული ბანსა-მდებარე**  
ლეონი ქართული წერისა, სურათებით, შედგენილი იაკობ ბოგებოვლისაგან, და იბეჭდა და ისეიდება გამოქმედის შაქარია ბრიტანეთის მალაზიგნებში. შასი ექვსი შუქრი; ფინს ნაღდა ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოცი ცალია. დედანა დაფიქრობა ხუთ შუქრად. უბრთვე ისეიდება იქვე და სარქსოვის მალაზიგნებში ლიტოგრაფიისა და ბეჭდვითი **დაზაშული მალაზიგნები**, თბილისი კაპეი-ნახევარად. რეგულური მალაზიგნები და ელრიგები: ორ-თაბახიანი ოთხ კაპეიკად და ოთხ-თაბახიანი რუად.

**კონა** საყმაწვილო მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებებდან, მეორე შეესწავლილი გამოცემა, სურათებით, ისეიდება იქვე; ფასი ათი შუქრი, ფინს ნაღდა ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოცი ცალია, წიგნი დემთობა 42 კაპეიკად. (10-10)

**ცალკე წიგნად**  
**სამხარის სიზმარული**  
მოთხრობა  
**აკაკი წერეთლისა**  
რედაქციის გამოცემა  
ფასი 30 კაპ.

წიგნი ისეიდება **თბილისში** ტრაქტორის წიგნის მალაზიგნებში, შეესწავლილი საყმაწვილო და ჩარკიანის მალაზიგნებში. **მუთისი** შიგნის მალაზიგნებში. ბათუმში, მოსკოვში, თელავში, სოფოლორის ღვთაშობის მართლმად ყიდვა შეიძლება აგრეთვე დროებისა რედაქციისაგან. (10-9)

**PAPIER RIGOLLO**  
**БУМАГА РИГОЛЛО**  
**ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ**  
ПРИБИГАЕТЪ ВЪ НАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ ВЪ ВОЕННЫХЪ ВОЛЪНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛІЙСКОМЪ КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВЪДОМСТВАХЪ Единственное средство, ввозъ котораго дозволенъ въ Имперію медицинскимъ совѣтомъ.

Принимайте **ВА НАСТОЯЩУЮ БУМАГУ РИГОЛЛО** лишь ту, листы которой имѣютъ поперекъ сію подпись **красною краской.**

**Продается во всякъ аптекарѣ.**

**ГЛАВНОЕ ДЕПО**  
**24, Avenue Victoria**  
**PARIS**  
**Въ Парижѣ.**



**საგლობესო**  
რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთადერთი სააგენტო ინგლისის მალაზიგნებისა. იქვეა აუთორიტული სხვა-და-სხვა გვარი კაღდები ყოველას სხვადასხვა — 25% ათვად, კიდრე სხვაგან. იქვე: მეფისი, ქაღალდი, განკურტები, რკეულები, ლაქი, კანხანაში, პენალი, კაღდები, ბუძაყენი, კეტი, მორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, საღესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმეად (ბორჯასი) თუთრეული-სათვის, პატარა ხალები იატაკსათვის, კლიონკები, ტახტები, სავარდლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რუგეტები, კატერპასები, მზის-სათები, კოპასები, ტრემომეტრები, ძეწეკები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქაშრები, სარტყლები, შრობკები, სხობობკები, კანხები, ფილტრები, შოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტისანი მაკინტოშები, კარკები, სექციონ ქაღალდი კატერ-კლორეტისათვის და სხვ. და სხვ.  
**პატაშკი—20 კ.** (100-17)